თვითპატივისცემისა და თვითშეფასების მიმართება და მათი კავშირი ღირებულებებთან

გიორგი ხარაიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ხარაიშვილი

15 ივნისი, 2018 წ.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია თვითშეფასების და თვითპატივისცემის, როგორც მე - კონცეფციის შეფასებითი კონსტრუქტი, ასევე სამყაროს ბაზისური მოლოდინები, რომელიც ფორმირდება სამ ქვესკალად: სამყარო კეთილგანწყობილია, სამყარო კანონზომიერია და „მე კარგი ვარ“, რაც ადგენს ინდივიდის სამყაროსადმი დამოკიდებულებას და ასევე ღირებულებების კონსტრუქტები. აღნიშნული ცვლადების მიმართება ნაკვლევია სამ სოციალურად განსხვავებულ ჯგუფში: რეგიონის, დევნილების და ქალაქის ჯგუფი. ასევე კვლევის ინტერესს წარმოადგენდა ზემოთაღნიშნული კონსტრუქტების ერთმანეთთან მიმართებების დადგენა. კვლევა მიზნად ისახავდა მოზარდ თაობაში დაედგინა ჯგუფთაშორისი განსხვავებები მე - კონცეფციის შეფასებითი ასპექტის, სამყაროს მიმართ შექმნილი ილუზიების და ღირებულებათა სისტემის მხრივ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120-მა ცდის პირმა (60 დევნილი, 30 რეგიონის და 30 ქალაქის ჯგუფის მოზარდი). კვლევის შედეგად ჯგუფებში არ აღმოჩნდა განსხვავებები თვითშეფასება/თვითპატივისცემა და სამყაროს ბაზისური მოლოდინების მხრივ. მოზარდ თაობასთან აღნიშნული ცვლადები საშუალოზე მაღალი მაჩვენებელით გამოიკვეთა. ღირებულებების მხრივ ჯგუფებში განსხვავებები გამოიკვეთა: დევნილთა ჯგუფისთვის პრიორიტეტული იმიჯის, კეთილგანწყობა ზრუნვის, ავტონომიური მოქმედების და ძალაუფლება რესურსების ღირებულებები აღმოჩნდა. რეგიონის ჯგუფში უნივერსალიზმი-ტოლერანტობის და უნივერსალიზმი-ბუნების ღირებულებები გამოიკვეთა. კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თვითშეფასება დადებითად კორელირებს თვითპატივისცემასთან და სამყაროს ბაზისური მოლოდინების ქვესკალასთან - მე კარგი ვარ. სამყაროს ბაზისური

მოლოდინების ქვესკალა - სამყარო კეთილგანწყობილია დადებითად კორელირებდა ქვესკალა „მე კარგი ვარ“-თან.

საძიებო სიტყვები: თვითშეფასება, თვითპატივისცემა, სამყაროს ბაზისური მოლოდინები - სამყარო კეთილგანწყობილია, სამყაროს ბაზისური მოლოდინები - სამყარო კანონზომიერია, სამყაროს ბაზისური მოლოდინები - მე კარგი ვარ, ღირებულებები, დევნილთა ჯგუფი, რეგიონის ჯგუფი, ქალაქის ჯგუფი.